

შპს „მ.გ.ბ ევროტრანს“

თბილისი, გლდანის მას.

5/11/51, ტელ: 593 342636



“M.G.B EUROTRANS“ LTD

5/11/51, GLDANI MASSIVE, TBILISI,

TEL: 593 342636

შპს „მ.გ.ბ. ევროტრანსი“

საიდენტიფიკაციო კოდი 400224663

მმართველობითი ანგარიში

შპს „მ.გ.ბ. ევროტრანს“-ის 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მ.გ.ბ ევროტრანსი“ დარეგისტრირებულია 2017 წლის 11 დეკემბრიდან და მინიჭებული აქვს ს/კ 400224663. მისი იურიდიული მისამართია თბილისი, გლდანი 5/11/51.

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირია „დირექტორი-კახაბერ გურგენიძე“ (პ.ნ 01002017652), დამფუძნებელია - გელა ბარამაშვილი/100% წილი.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

2.1 საწარმოს მიერ 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად განხორციელდა. საწარმოს საოპერაციო და საანგარიშო ვალუტას წამოადგენს ეროვნული ვალუტა-ლარი.

2.2 ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება;
- საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგება;
- ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება;
- განმარტებით შენიშვნებს;

წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2024 წლის 28 ოქტომბერს

შპს „მ.გ.ბ ევროტრანს“-ის დირექტორი კახაბერ გურგენიძე



ფინანსური მდგომარეობა

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	2539502	1913625
საქონლის გაყიდვიდან	298510	112712
მომსახურების გაწევიდან	2240992	1800913
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-263656	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	2275846	1913625
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-124500	-123700
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-64051	-29310
საპროცენტო შემოსავალი	446	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1037963	-958513
სულ საოპერაციო ხარჯები	-1226068	-1111523
საოპერაციო მოგება	1049778	802102
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით		
ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი		
ოპერაციებიდან	1049778	802102
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	1049778	802102
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების)		
გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების		
უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი		
პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1049778	802102
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1292771	776860
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის		
გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-434095	-329617
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1908454	1249345



განმარტებითი შენიშვნები

შპს „მ.გ.ბ. ევროტრანს“-ის 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მ.გ.ბ. ევროტრანსი“ გადასახადის გადამხდელად ირიცხება 2019 წლის 21 მარტიდან.

მისი იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, გლდანი, 5/11/51

ხელმძღვანელობაზე /ჭრმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია დირექტორი კახაბერ გურგენიძე.

დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია, გელა ბარამაშვილი.

2. ბიზნეს გარემოსა და რისკების მიმოხილვა

2.1 შპს „მ.გ.ბ. ევროტრანსი“ აწარმოებს საერთაშორისო გადაზიდვებს (ძირითადად მეორად ავტომანქანებს)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

3.1 საწარმოს მიერ 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად განხორციელდა. საწარმოს საოპერაციო (მუშა) და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი.

3.2 ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას;
- საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას;
- ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
- განმარტებით შენიშვნებს;

4. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება:

4.1 ფულადი სახსრები:

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საოპერაციო,საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახა ცალ-ცალკე,პირაპირი მეთოდით;

4.2 უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი ექვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით,ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსთვის- 31 დეკემბერს არსებული კურსით.

4.3 შეზღუდული ფული ან ფულის ექვივალენტები საწარმოს საანგარიშგებო პერიოდში არ გააჩნდა;

4.4 საწარმოს საანგარიშგებო წლის პერიოდში გააჩნდასაქონლის შესაძენად გადარიცხული თანხები,რომელიც პერიოდულად იხურება საქონლის მიღებით;

4.5 საინვესტიციო ქონება:

საანგარიშო წლის ბოლოსთვის საწარმოს საინვესტიციო ქონება არ გააჩნდა.

4.6 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

შესყიდული მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით;

4.7 ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის შეძენა წარმოებს ტალონებით და აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით.საწვავი აღირიცხება მარაგების სახით განცალკევებულად.საწვავი ავტომანქანებზე ჩამოიწერება ავტოსაგზაო ბარათების მიხედვით ფაქტობრივად გარბენილი კილომეტრებისა და ხარჯვის ნორმების შესაბამისად;

4.8 საწარმოს გრძელვადიანი მარაგები არ გააჩნია;

4.9 კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს.ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ცვეთის გამოკლებით;

4.10 ძირითადი საშუალებები:

ძირითადი საშუალებების გაუფასურების ნიშნები საანგარიშო პერიოდისთვის დადგენილი არ ყოფილა და ანგარიშგებაში გაუფასურების ზარალი არ დაფიქსირებულა;

4.11 არამატერიალური აქტივები :

-არ გააჩნია;

4.12 სასესხო ვალდებულებები;

-არ გააჩნია;

4.13 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

საწარმოს სავაჭრო მოთხოვნების ანგარიშზე ასახული აქვს თანხები, რომლებიც წარმოიქმნა დარიცხული შემოსავლიდან და რომელთა გადახდაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არ განხორციელებულა.

4.14 გაცემული სესხები

საანგარიშო პერიოდში საწარმოს გაცემული სესხები არ გააჩნდა;

4.15 სავაჭრო ვალდებულებები:

საწარმოს სავაჭრო ვალდებულებების ანგარიშზე ასახული აქვს თანხები, რომლებიც წარმოიქმნა დარიცხული ხარჯებიდან და რომელთა გადახდაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არ განხორციელებულა. შესაბამისად, სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია პირვანდელი ღირებულებით.

5. საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

5.1 შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;

5.2 ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები და ხარჯები და მოგება-ზარალი ასახულია ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით(მოდელით);

5.3 მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ „ესტონური“ მოდელით. დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო

მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს და განაცემებს.

5.4 დამატებითი განმარტებები საქმიანობის შედეგების შესახებ:

5.4.1 ამონაგები:

საწარმოს ამონაგები ფორმირდება დასაბეგრი და დაუბეგრავი რეალიზაციებიდან, დასაბეგრი რეალიზაციები სხვადასხვა მომსახურებიდან-თვირთის გადაზიდვა-ადგილობრივი მოსახურება, ხოლო დაუბეგრავი საერთაშორისო გადაზიდვებიდან;

5.5 არასაოპერაციო შემოსავალი

5.5.1 სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება/ზარალი:

ანგარიშგებაში შეტანილია საკურსო სხვაობები, რომელიც წარმოიშვა მიმდინარე პერიოდში ფულადი მუხლების გადაფასების (წლის ბოლოს არსებული კურსის შესაბამისად) დროს. შესაბამისად, მსს ფასს-ის 30.10 განყოფილების მოთხოვნებიდან გამომდინარე აღნიშნული თანხები აკუმულირდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში;

5.5.2 საპროცენტო შემოსავალი

საანგარიშო პერიოდში საწარმოს საპროცენტო შემოსავალი არ გააჩნდა.

5.6 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება:

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აღიარებულია შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი ღირებულებით;

5.7 რეკლამა და მარტკეტინგი

საწარმოს 2023 წელს გაწეული არ აქვს სარეკლამო ხარჯი

5.8 მიწოდების დანახარჯები:

საწარმოს 2023 წელს გაწეული აქვს სატრანსპორტო ხარჯები 392739 ლარი;

5.9 თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელო:

თანამშრომელთა ხელფასები შეადგენს 124500 ლარს

5.10 ცვეთა და ამორტიზაცია:

ცვეთა და ამორტიზაცია -64051 ლარი

5.11 აქტივების გაუფასურება

საანგარიშო პერიოდში აქტივების გაუფასურება არ დაფიქსირებულა;

5.12 ადმინისტრაციული და სხვა საოპერა ციო ხარჯები:

საწარმოს 2023 წელს არ მიუღია აუდიტორული მომსახურება;

საკონსულტაციო ხარჯები ძირითად ფინანსურ და იურიდიულ მომსახურებაზე არ გაწეულა.

5.13 საოპერაციო იჯარა

DKV EUROSERVICE GMBH ფართის იჯარა(გერმანია)188744 ლარი

5.14 სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯები საკანცელარიო,საოფისე,სამეურნეო და სხვადასხვა ხარჯებისგან შედგება;

6. ცვლილებები საწარმოს საკუთარ კაპიტალში:

2023 წელს საწარმოს კაპიტალში პარტნიორთა მიერ დამატებითი შენატანი არ განხორციელებულა;

7. დასკვნითი ნაწილი

საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება მიღებულია და ნებადართულია გასაცემად 2024 წლის 30 ოქტომბერს.

შპს „მ.გ.ბ. ევროტრანსის“ დირექტორი



გ.გ.ბ. გურგენიძე